საქართ. მემარც. სოც.-ფედ. სარევ. პარტია

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა" ღირს
თვიურად 200,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 10,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 60,000 მან. [illegible]
4 „ 30,000 „ „
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 800,000 მან.
4 „ 300,000 „

№ 405 სამშაბათი, იანვრის 30 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10,000

ყოველდღიური საპოლიტიკო სალიტერატურო გაზეთი

„ტრიბუნა"

1923 წლის იანვრის პირველიდან ეღირება ხელის მომწერთათვის დაგზავნით და სახლში მიტანით

თვიურად 200,000 მან.

ცალკე ნომრის ფასი 1923 წლის იანვრის პირველიდან ყველგან 10,000 მან.

გაზეთს ჰყავს საკუთარი კორესპონდენტები: პეტროგრადში, მოსკოვში და საქართველოს მნიშვნელოვან დაბა-ქალაქებში. ხელის მოწერა მიიღება ყოველდღე, გარდა უქმეებისა გაზეთის კანტორაში: ტფილისი, სასახლის ქ. № 6. ტელეფონი—10—34 ფოსტის ყუთი № 190.

გულ დათუთქული დედა მარიამ ერმალო ჰუმბურიძის ასული ჩუბინიძისა, მამა ტრიფონ ტეიბუხის ძე ჩუბინიძე: აუწყებს ნათესავთ და მეგობართ თავის ერთად ერთი შვილის

ოთარის

უდროოდ გარდაცვალებას.

დასაფლავება ქ. ტფილისში ნიკოლოზის სასაფლაოზე დღით სამშაბათს 30 იანვარს.

1—1

ღრმად დამწუხრებული ბებია და ბაბუა ოლინკა და ერმალო ჰუმბურიძეები, დეიდები და მამიდები, მიშა კვინიხიძე, გაბო გეწაძე და ვარლამ ლეშკაშელი ოჯახითურთ აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ თავის საყვარელი

ოთარ ტრიფონის ძე ჩუბინიძის

უდროოდ გარდაცვალებას.

№ 385 1—1

რუსთაველის თეატრი

სამშაბათს 30 იანვარს

მზის დაბნელება საქართველოში

1—1

## ტფილისის მესამე საბჭო

დღეს გაიხსნება ტფილისის მესამე საბჭო, სრულუფლებიანი წარმომადგენელი მშრომელთა რიგების და გამომხატველი მისი სასიცოცხლო ინტერესების. წინა ორი საბჭოს მოქმედება ურწმუნო თომასაც კი დაარწმუნებდა, რომ მუშათა კლასი სავსებით გამსჭვალულია არა მარტო „ეკონომიკით", ე. ი. მარტო საკუთარი კუჭის საკითხით, არამედ ის საკმაოდ მომზადებულია საზოგადოებრივი ინტერესების შესათვისებლად. ტფილისის საბჭო, როგორც პირველი, ისე მეორე მედგრად იდგა მუშათა კლასის სადარაჯოებზე და ამავე დროს ეწეოდა ენერგიულ აღმშენებლობითი მუშაობას. მან შესძლო მეტად არა ხელსაყრელ პირობებში ისეთი მუშაობის გაჩაღება, რომელსაც მტრებიც კი აღიარებენ და სცნობენ.

ტფილისის საბჭოს მოღვაწეობა ერთხელ კიდევ ზედმეტად ამტკიცებს. რომ მუშებს აღარ სჭირდებათ არამკითხე ოპეკუნები და შეუძლიათ თავის წრეში გამონახონ ასეთი დიდი და რთული საქმის გამძღოლნი, როგორიც არის ჩვენი დედა ქალაქის საქმეები.

ვის არ ახსოვს ქალაქის თავის ძებნა ბურჟუაზიულ ხანაში, რომელიც სულ გუშინდელი ამბავია? ჩვენ კი ასეთი, რამ არ დაგვინახავს საბჭოთა სისტემის დროს. როგორც ალ. გეგეჭკორი, ისე ლ. დუმბაძე შეუდარებელნი აღმოჩნდნენ თავიანთ პოსტზედ. ვერც ერთი ქალაქის თავი ძველი ტიპისა ვერ შესძლებდა იმის გაკეთებას ასეთ პირობებში, რაც გააკეთა ტფილისის საბჭომ. და ამის მიზეზია ტფილისის მუშების შეგნება და მომზადება საზოგადო საქმეებისათვის. ვისაც არ უნდა ჩააბაროთ ქალაქის საქმეები, ვინაც არ უნდა მოიწვიოთ ქალაქის „თავად", ვერავინ ვერაფერს გააკეთებს, თუ მას სათანადო იმპულსსა და მიმართულებას არ აძლევს ძალთა განწყობილება.

საბჭოთა სისტემამ საზოგადოების სათავეში მოაქცია მუშათა კლასი და მას დაეკისრა მესაჭეობა საშინელ ღელვისა და ქარტეხილის დროს. ტფილისის საბჭომ დაამტკიცა, რომ საქართველოს მუშათა კლასი არ არის ჩამორჩენილი, პირიქით ის სდგას ახალი დროების მოთხოვნილებათა სიმაღლეზედ და პირნათლად ემსახურება საზოგადო ინტერესებს.

მეს ამე საბჭოს, რომლის არჩევნები ეხლახან დასრულდა და რომელიც დღეს შეიკრიება პირველად, ჩვენ ვესალმებით წრფელის გულით და ვუსურვებთ, რომ სახელოვნად განაგრძოს დაწყებული გზა, რომ ტფილისი შეიქნეს საბჭოთა ქალაქების მაგალითად მთელ ამიერ-კავკასიაში.

## ნარკვევი

### ინგლისის ახალი ბუფერი „დამოუკიდებელი" ქურდისტანი.

მოსკოვის გაზ. „იზვესტიას" მოყავს წერილი თეგერანიდან, რომელიც ეხება ინგლისის მიერ ქურდისტანის „დამოუკიდებლობის" შექმნის საკითხს. მოგვყავს ეს წერილი:

ინგლისელებს, როგორც ეტყობა, თავი არ დაუნებებიათ „დამოუკიდებელ" ქურდისტანის იდეისათვის. 26 ეკნენისთვეს შეიხ-მახმუდი, რომელიც დანიშნულ იქნა ქურდისტანის მოადგილეთ, ინგლისელ აგენტ მაიორ ნოელის და ინგლისელ ინსტრუქტორების თანხლებით გაემგზავრა სულეიმანიში. ქურდისტანში ჩამოსვლის შემდეგ, სავსებით სარწმუნო წყაროების ცნობებით, შეიხ-მახმუდმა ინგლისელებისაგან მიიღო 10 ათასი თოფი, 10 ზარბაზანი, ტყვიის მფრქვეველები, ორი ჰაეროპლანი და დიდძალი ტყვიები და ყუმბარები. ამის შემდეგ „ავტონომიურ" ქურდისტანის შექმნის საქმე წინ წაიწია: შეიხ-მახმუდი ცნობილი იქნა ინგლისელების მიერ ქურდისტანის მეფეთ, რის შემდეგაც ამ ახლად გამომცხვარმა უგვირგვინო მეფემ შეადგინა „ქურდისტანის მთავრობა" შემდეგი შემადგენლობით: 1) შეიხ მახ ხარიბი—შინაგან საქმეთა დირექტორი; 2) ფარიმ ალიაკახი—ფინანსების დირექტორი; 3) გენერალი მუსტაფა—განათლების დირექტორი; 4) ახმედ ბეი ფატა ბეი—საბაჟოების დირექტორი; 5) მოხდ აგა აბდულ—ვაჭრობისა და საზ. სამუშაოს დირექტორი; 6) ახმედ ელ-ბერზენჯი—საზოგადოებრივი დაცვის დირექტორი; 7) სიდიკ-ელ-ბადირი—მთავრობის ინსპექტორი.

ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში ამ მთავრობამ მიმართა სპარსეთის მთავრობას ნოტით, ქურდისტანის ნაწილებიდან, რომლებიც სპარსეთის, მესოპოტამიის და ოსმალეთის შემადგენლობაში შედიან, „სპარსეთის სუვერენიტეტის ქვეშ მყოფი დამოუკიდებელი სახელმწიფოს" შექმნის შესახებ. თეგერანის პოლიტიკურ წრეებში ამბობენ, რომ, ადგილობრივი ელჩი ინგლისისა სერ-პერსი-ლორენი ენერგიულად ცდილობდა დაეთანხმებია პრემიერი ყავამ და მემკვიდრე, ინგლისის ახალი ბუფერის შექმნაზე სპარსეთის ფიქტიური სუვერენიტეტის ქვეშ. მიუხედავათ იმისა, რომ პრემიერი დაითანხმა, ამ საკითხის გადაწყვეტა თითქოს გადადებულია შახის ჩამოსვლამდი.

წარსული წლის ოქტომბერში ქემალის ჯარებსა და ქურდებს შორის მოხდა პირველი შეტაკება. ამ ჟამათ ოსმალეთის სარდლობა თავს უყრის ჯარებს მოსულის და სულეიმანიის რაიონში. ამის გარდა, შეიხ-მახმუდის წინააღმდეგ ძალებს იკრებს და ალბათ ახლო მომავალში გამოვა საბრძოლველად მისი ძველი მტერი—ქურდის ხანი ბედერ ხან ბეი. ამასთანავე ერბილში თავს იყრიან შეიხ-მახმუდის სამტრო ქურდის რაზმები.

უკანასკნელი ამბები ლოზანას კონფერენციისა და იქ წარმოებული ბრძოლა მოსულის ნავთისათვის, საფუძველს იძლევა ვიფიქროთ, რომ ინგლისელები ბუფერს ქმნიან „დამოუკიდებელი" ქურდისტანის სახით არა მარტო ქურდისტანის და მესოპოტამიის დაცვის მიზნით ქემალისტებისაგან, არამედ იმიტომაც, რომ არავის მისცეს საშვალება მოსულის ოლქის ნავთის სიმდიდრეების ხელში ჩაგდებისა.

ყველა ამ გარემოებათა გათვალისწინების შემდეგ შეიძლება დავსკვნათ:

1) რომ ინგლისელების მიერ ქურდისტანში ბუფერის შექმნა—მომხდარი ფაქტია;

3) რომ ინგლისელები ყოველ ღონეს ხმარობენ, შექმნილი ბუფერის გასამაგრებლად და ცდილობენ თავიანთი ავანტიურის სპარსეთის მიერ მხარის დაჭერას და 3) რომ შეიხ მახმუდი უკვე აქტუალური მუქარაა ქემალის ოსმალეთისათვის და ავანტიურის შემდეგი განვითარების შემთხვევაში კი შესაძლებელი მუქარა შეიქნეს სპარსეთისა და რუსეთისთვისაც.

## რურის ოლქის ოკუპაცია

### ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების კონგრესი ესენში.

**მოსკოვი.** 29 იან. 24 იანვარს ესენში გაიხსნა რურის ოლქის ფაბრიკა-ქარხნების კონგრესი რეინის ოლქის ვესტფილიის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების დელეგაციის და კომუნისტურ ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით, კონგრესზე მონაწილეობას ღებულობს 180 წარმოების, 246 ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტი.

კონგრესის მიერ წამოყენებულია მოთხოვნილებანი: ყოველგვარ ნაციონალისტურ ომისათვის წინააღმდეგობის გაწევა, საოკუპაციო ჯარების გაყვანა, მუშათა მთავრობის შექმნა და ამავე დროს საბჭოთა რუსეთთან კავშირის დადება, 6 საათის მორიგეობითი მუშაობის შემოღება, სიძვირის გამო მომატებული ჯამაგირის დარიგება დაუყოვნებლივ და დაპატიმრებულების—გერმანიის და საფრანგეთის პროლეტარიატის წარმომადგენლების განთავისუფლება.

გამოტანილია რეზოლიუცია, რომელშიაც დაგმობილია ნაციონალისტებთან და მწარმოებლებთან გაერთიანებული მანიფესტაციების მოწყობა.

### რურის რკინის გზელთა გაფიცვის გამო.

**მოსკოვი.** 29 იან. რურის რკინის გზელთა გაფიცვის გამო, საფრანგეთის მთავრობა გზავნის რურში 3,750 საფრანგეთის რკინის გზის მომსამსახურეს.

### საფრანგეთის ჯარების კონცენტრაცია.

**მოსკოვი.** 29 იან. ფრანგები ჯარებს თავ უყრიან რურის ოლქის საზღვრებთან, რათა მოსწყვიტონ ეს ოლქი დანაჩენ გერმანიას და დააწესონ საბაჟო საზღვარი.

### სამუშაო ხელფასი სამთამადნო მუშებისათვის.

**მოსკოვი.** 29 იან. რურის სამთამადნო მუშებთან მოლაპარაკებამ გამოიწვია სამუშაო ხელფასის გადიდება 77 პროცენტით. ამის გამო მწარმოებლებმა ნახშირის ფასი გაადიდეს 100 პროცენტით.

### მოლაპარაკება საფრანგეთთან.

**მოსკოვი.** 29 იან. გერმანიის პრესა გაცხოველებით იხილავს საკითხს ნეიტრალურ სახელმწიფოების საშუალებით საფრანგეთთან მოლაპარაკების გამართვის შესახებ.

მთავრობის ცნობების მიხედვით, გერმარია მზად არის დაიწყოს მოლაპარაკება იმ პირობებით, თუ განთავისუფლებული იქნება რურის ოლქი.

### საფრანგეთის ჯარები

**მოსკოვი.** 29 იან. ესენში მოვიდა საფრანგეთის არტილერიის რაზმი გაუბიცებით და ტანკებით აგრეთვე ჯავშნიანი ავტომობილებით.

ალტზესენში გაჩნდნენ კვარტირმეისტერები რომლებიც ამზადებენ შენობებს მაროკელების გარნიზონისათვის.

### საბაჟოს მოხელები

**მოსკოვი.** 29 იან. დიუსელდორფში მოვიდა საფრანგეთის საბაჟოს 250 მოხელე.

### პოლონეთის დახმარება

**მოსკოვი** 29 იან. პოლონეთის სამხედრო სამინისტრომ გამოსცა ბრძანება რათა მოხდეს მობილიზაცია გერმანიის ჯარებში მოსამსახურე პოლონელების რკ. გზელების ფ.-ტელეგრაფის მოხელეების რომლებიც დანციგის გზით გაიგზავნებიან რურის ოლქში.

### საფრანგეთის კომპარტიის საპროტესტო მიტინგები

**მოსკოვი.** 29 იან. საფრანგეთის კომპარტიამ და შრომის უნიტარულმა კონფედერაციამ პარიზში და მის მიდამოებში მოაწყვეს 30-დე მასიური საპროტესტო მიტინგი რურის ოკუპაციის და კომუნისტების დევნის წინააღმდეგ.

„იუმანიტეში" იბეჭდება საფრანგეთის მრავალრიცხოვან მუშათა ორგანიზაციების განცხადებები და პროტესტები.

### ნახშირის შეტანა

**მოსკოვი.** 29 იან. საფრანგეთ-ბელგიის სამხედრო საბჭომ დაადგინა აიკრძალოს გერმანიაში ნახშირის შეტანა და შეიმუშავა ზომები მთელი რიგი ამ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად.

### ფრანგების რეპრესიები.

**მოსკოვი.** 29 იანვარი. ტრირში გაიმართა მასიური საპროტესტო დემონსტრაციები რურის ოკუპაციის წინააღმდეგ. ფრანგებმა მოანდინეს ჭაფრიკის ჯარების მობილიზაცია დემონსტრანტების საწინააღმდეგოდ ქალაქში გამოაცხადეს საალყო წესები.

### ხარჯები ოკუპაციისათვის.

**მოსკოვი.** 29 იანვარი. საფრანგეთის მთავრობამ ითხოვა კრედიტი 45 მილ. ფრანკის რაოდენობით იანვრის და თებერვლის ხარჯების დასაფარავად.

### გერმანიის რკინის გზელები.

**მოსკოვი.** 29 იანვარი. დიუსელდორფიდან მიღებულ ცნობებით გერმანიის რკინისგზელებმა გააფუჭეს რკინის გზის ლიანდგი და მოსწყვიტეს მთავარი ხაზი რკინის შტოებს.

### ინგლისის პოზიცია

**მოსკოვი.** 29 იანვარი. 29 იანვრისათვის დანიშნულია ინგლისის მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელზედაც განხილული იქნება საკითხი რეინის ოლქიდან ბრიტანეთის ჯარების ევაკუაციის შესახებ.

„მორნინგ პოსტ"-ის აზრით ბრიტანეთის ჯარების გაწვევა უეჭველად იქნებოდა ანტანტის აღსასრული.

### ფრანგების გეგმა.

**მოსკოვი.** 29 იანვარი. „მორნინგ პოსტი" ცნობით პარიზში ფეხს იკიდებს ის აზრი, რომ აუცილებელია დიდი სამხედრო ძალების მიმართვა პირდაპირ ბერლინისაკენ. გერმანიის სატახტო ქალაქის დაკავებით ფრანგებს შეძლება ექნებათ უკარნახონ გერმანიას ისეთი პირობები რომელიც უზრუნველყოფს რეპარაციის გადახდას და აიძულებს გერმანიას მოახდინოს ფინანსების რეორგანიზაცია და მით განთავისუფლება საფრანგეთი ვერსალის ხელშეკრულების უსამართლო პირობებისაგან რომელიც მას თავზე მოახვია ლოიდ-ჯორჯმა.

### ინგლისის მუშები.

**მოსკოვი,** 29 იან. ინგლისის პროლეტარიატის მღელვარების გავლენით, ინგლისის ტრედ-უნიონების გენერალურმა საბჭომ და მუშათა პარტიის აღმასკომმა გამოაქვეყნეს დეკლარაცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ ინგლისის პროლეტარიატი გამოსთქვას სოლიდარობას რურის მუშებისადმი და სავსებით იზიარებს აღშფოთების, რომელიც გამოწვეულია საფრანგეთის მისწრაფებით, რათა დაიმონოს და გაანადგუროს გერმანია როგორც პოლიტიკურად ისე ეკონომიურად. დეკლარაცია მოუწოდებს ყველა დაინტერესებულ სახელმწიფოთა მუშებს მთელი ძალღონით ებრძოლონ დანარჩენ ევროპაში სამხედრო მოქმედების გავრცელების საფრთხეს.

### მდგომარეობა სერიოზულია

**პარიზი** 28 იანვარი. ამერიკის ჯარების მთავარსარდალმა რურში გენ. ალენმა განაცხადა, რომ რურში მდგომარეობა ძალიან სერიოზულია. იგი ორკეცდება იმით, რომ შეუძლებელია დასასრულის განსაზღვრა.

### საერთო გაფიცვების წინაშე

**პარიზი** 28 იანვარი. მუშათა წრეებში გადაწყდა იმ შემთხვევაში თუ სრულიად აკრძალავენ გერმანიიდან ნახ-

შორის გატანას, გამოცხადებულ იქნეს საერთო გაფიცვები. მთელ რურის ოლქში გახშირდა მუშათა და მოსამსახურეთა დაპატიმრება და გადასახლება. დიუსელდორფიდან და მაინციდან იტყობინებიან ბურგომისტრის დაპატიმრების შესახებ.

### რურის ჩამოჭრა არ მოხდა

**ჰანოვერი** 28 იანვ. ფრანგების განზრახვა დაეწესებიათ საბაჟო საზღვრები რურის ოლქის გარშემო 26 იანვარს, ღამით არ განხორციელდა. 27 იანვარს დილით ნახშირით დატვირთული მატარებლები გავიდენ გერმანიაში.

### იტალია დახმარებას უწევს

**ჰანოვერი**. 28. იან. რომიდან იტყობინებიან, რომ მინისტრთა საბჭომ დაადგინა გაგზავნოს რურის ოლქში იტალიელი ინჟინრები.

### ინგლისი შეჩოჩქოლებულია

**ჰანოვერი**. 28 იან. ინგლისის საზოგადოებრივი აზრი შეჩოჩქოლებულია იმ გარემოებით, რომ რურის ოლქის ოკუპაცია შეიძლება დაუსრულებლად გაგრძელდეს. ფიქრობენ, რომ შექმნილ მდგომარეობის გამო არ შეიძლება საკითხის გონივრულად გადაჭრა.

### სარეპარაციო კომისია საფრანგეთის სათამაშო საგანს წარმოადგენს.

**ჰანოვერი**. გაზ. „ტაიმსი“ იხილავს რა საკონტრიბუციო კომისიის დადგენილებებს ამბობს, რომ კომისია თავის დადგენილებით სასაცილო მდგომარეობაში ჩავარდა და საერთოთ მთელი სარეპარაციო კომისია გადაიქცა საფრანგეთის მთავრობის დადგენილებათა ცხოვრებაში გატარების იარაღათ. გაზეთის აზრით საკონტრიბუციო კომისიამ დაკარგა მთელი თავის ავტორიტეტი.

## ლოზანას კონფერენცია

### მდგომარეობა კრიტიკულია.

**ჰანნოვერი**. 29 იან. მდგომარეობა ლოზანაში კრიტიკულია. ეჭვს ბადებს ის, რომ მოკავშირეთა და ოსმალებს შორის არსებული უთანხმოება მოწესრიგებული იქნება 2 თებერვლისათვის.

### პუანკარეს რჩევა.

**პარიზი**. 29 იან. ლოზანადან იტყობინებიან, რომ პუანკარემ დეპეშა გაუგზავნა მუსტაფა-ქემალ ფაშას, და ურჩია ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას.

### სრული უთანხმოება.

**პარიზი**. 29 იან. ფინანსიურ კომისიის პლენალურ სხდომაზე ბონარმა აღნიშნა სრული უთანხმოება მოკავშირეთა და ოსმალეთის მოთხოვნილებათა შორის საზავო მოლაპარაკება პრაქტიკულად დამთავრდა. 3 მთავარი კომისია შეიკრიბება ოთხშაბათს და მაშინ აცნობებენ ოსმალეთის დელეგაციას საზავო ხელშეკრულების მუხლების შინაარს.

### რუსეთის გარეშე ვერაფერს გახდენ.

**ლონდონი**. 29 იან. ინგლისელ კორესპოდენტების ცნობით, რუსეთის დელეგაცია მიიწვიეს სრუტეების კონვენციის განსახილველად.

## გერმანიის ამბები

### ნახშირი გერმანიისათვის

**პარიზი**. 29 იან. ნახშირის საერთო რაოდენობა, რომელიც შეძენილია ინგლისში გამბურგს ბრემენსა და ემბდენში გასაგზავნად უდრის 200.000 ტონას.

**ლიფილდი**. 29 იან. სარწმუნო წყაროები იუწყებიან, რომ გერმანიამ შეიძინა დერბიურში 250.000 ტონა ნახშირი 460,000 გირ. სტერლინგის საღირალი სტინესს 2 აგენტი ყავს გულეში ნახშირის გადასაგზავნად.

## უცხოეთი

### მემელი

**ჰანოვერი**. 29 იან. მემელის ოლქში გაგზავნილი კომისია იტყობინება, რომ განზრახულია მთავრობის შედგენა, მცხოვრებთა სხვა და სხვა ჯგუფებისაგან, მემელის საკითხის საბოლოვოდ გადასაწყვეტად.

### ერთა ლიგა.

**ჰანოვერი**. 29 იან. პარიზში ჩავიდა ავსტრიის გარეშე საქმეთა მინისტრი გრინბერგერი და ავსტრიის ახალ ეროვნულ ბანკის თავმჯდომარე ერთა ლიგის თათბირში მონაწ. მისაღებად.

**პარიზი**. 29 იან. ერთა ლიგის საბჭოს სესია იწყება პარიზში 29 იანვარს ვივიანის თავმჯდომარეობით.

### მოსული

**პარიზი**. 29 იან. ლონდონიდან იტყობინებიან, რომ მოსულის გარნიზონი ძალიან გამაგრებულია. დამხმარე ქვეითა ჯარები და ჰაეროპლანები მიიღეს ბაღდადიდან.

### ოსმალეთის ქალის თანასწორ-უფლებიანობა

**ლიფილდი** 29 იან. ქემალ-ფაშამ ბრუსაში მოწვეულ მასწავლებელთა ყრილობაზე განაცხადა, რომ ოსმალეთის ქალმა უნდა მიატოვოს ჰარამ-ხანა და გაუთანასწორდეს მამაკაცს. მან განაცხადა რომ ქალს უფლება აქვს ყოველგვარ პროფესიაში მუშაობისა.

### ფრაკიიდან სალონიკაში

**ლონდონი**. 29 იან. მოკავშირეთა წინადადებით ბერძნებმა ჯარების მთავარი ბინა გადაიტანეს ფრაკიიდან სალონიკაში.

## ახალი ამბები

— **დღეს, სამშაბათს, საღამოს 8 საათზედ, ოპერის თეატრში დანიშნულია ტფილისის ახლად არჩეული მე-3 საბჭოს საზეიმო გახსნა. ყველა წევრები ვალდებულნი არიან დაესწრონ.**

— **არამიანცის სავადმყოფოს მდგომარეობა**. ამხ. თედო ღლონტს დაუთვალიერებია არამიანცის ყოფილი საავათმყოფო, სადაც ცუდი ანტისანიტარული პირობები იქნა აღმოჩენილი, ისე როგორც სხვა ბევრი საჭირო ნივთეულობის დიდი ნაკლებობა და მოსამსახურეთა არანორმალური პირობებში ცხოვრება; თანახმად მისი მოხსენებისა ქალაქის აღმასკომმა დაადგინა, წინადადება მისცეს საფინანსო განყოფილებას დამატებით აძლიოს სათბობი მასალისათვის ჯანმრთელობის განყოფილებას 25 მილიონი მანეთი დღეში. აღძრული იქნა შუამდგომლობა ცეკაში და სახალხო კომისართა საბჭოში, რათა მიეცეს აღმასკომს სასურსათო სახალხო კომისარიატის ფონდიდან ნისიათ საზნები და ნარმა თეთრეულობის დასამზადებლად. სათბობი მასალისათვის გადიდებულ იქნება მაზუთის ნორმა 30—დან 150 ფუთამდე დღეში.

— **ელექტრონის ენერგიაზე გადასახადის გადიდება**. მიმდინარე წლის იანვრის 1-დან, ელექტრონის ენერგიაზე გადასახადი საქონლის მანეთის კურსით კილოუატ—საათში: 1) საცხოვრებელ ბინებზე—15 კაპეიკი; 2) სახელმწიფო სამეურნეო დაწესებულებებზე 20 კაპეიკი. 3) საბჭოთა დაწესებულებებზე (არა სამეურნეო ხასიათის) ადმინისტრატიულ დაწესებულებებზე—15 კაპეიკი. კერძო სამრეწველო-სავაჭრო დაწესებულებებზე —25 კაპ.

— **ტრამვაის ტარიფის გადიდება**. დამტკიცდა კომუნალურ კოლეგიის დადგენილება ტრამვაის ბილეთებზე ფასების აწევის შესახებ.

1. თავისუფლების მოედნიდან—საუფლისწულო სარდაფამდე—15000 მან.
2. ზემმელის აფთიაქიდან და უკანვე საუფლისწულო სარდაფამდე 10,000 მ.
3. თავისუფლების მოედნიდან—კარლ მარქსის მოედანი—10,000 მან.
4. კ. მარქსის მოედანი—სადგურამდე—15,000 მან.

(ოცი ათასის მაგივრად)

5. სამანის მოედნიდან—კარლ მარქსის ძეგლამდე—10,000 მან.
6. კ. მარქსის მოედანი—სადგურამდე—15000 მან.

(ნაცვლად ოცი ათასისა)

მარშრუტი № 1—2.

1—სადგური—15000 მან.
2— „ —25000 „
3— „ —30000 „

მარშრუტი № 4.

სამანის მოედნიდან—ციხემდე 15000 მ.

მარშრუტი № 12.

თავისუფლების მოედნიდან—კახეთის მოედნამდე—15000 მან.

კახეთის მოედნიდან—არამიანცის საავადმყოფომდე—10000 მან.

არამიანცის საავადმყოფდან—ჰოსპიტლამდე—10000 მან.

თავისუფლების მოედნიდან—არამიანცის საავადმყოფომდე—20000 მან.

კახეთის მოედნიდან—ჰოსპიტლამდე—15000 მან.

თავისუფლების მოედნიდან—ჰოსპიტლამდე—25000 მან.

გადიდებული ტარიფები გატარებული არის იანვრის 27-დან.

— **საფინანსო ოპერაციები 1-ელ თებერვლიდან**. ყოველგვარი საფინანსო ოპერაციები 1-ლ თებერვლიდან წარმოებული იქნება საქონლის მანეთებით. ყველა ასაღები ვალები, რომლებიც ამ თვის ბოლომდე არ იქნება შემოტანილი აღმასკომის სალაროში, 1-ლ თებერვლიდან გადირიცხება საქონლის მანეთებში და მიღებული იქნება არსებული კურსის მიხედვით.

## ეკონომიური ცხოვრება

**ბათომის ნავთსადგური 1922 წელს.** გამოქვეყნდა ბათომის ნავოსადგურის მუშაობის ანგარიში გასულ წელს. ბათომის ნავთსადგური მეტად დიდ როლს ასრულებდა ენკენისთვის ბოლომდი მთელი ფედერაციისა და სპარსეთისათვის. ახალმა საბაჟო ტარიფმა გავლენა იქონია შემოტანასა და ტრანზიტზე. წინანდელი თვალსაჩინო მნიშვნელობა ბათომისა უცბად დაეცა. შემოტანა, რომელიც პროგრესიულად იზრდებოდა აგვისტომდე (აგვისტოში—1.180.355 ფ.) ენკენისთვეში სწრაფ 309.197 ფუთამდე დაეცა, ხოლო ნოემბერში 167.069 ფუთამდე. მთელი წლის განმავლობაში გატანილი იყო მონოპოლიური საქონლები 83. 148 ფ. 2 ნახ. გირ., ამ რიცხვიდან კერძო პირებზე მოდიოდა 40.682 ფ. 18 ნახ. გ. (დაახლოებით 60 პროც.), სახელმწ. დაწესებულებებზე—14.987 ფ. (17 პროც.) და კოოპერატივებზე 27478 ფ. 23 ნახ. გირ. (დაახლ. 33 პროცენტი).

— **ლიონის იარმარკა.** ლიონის იარმარკის ადმინისტრაციისა და რუსეთის წარმომადგენლის ამხ. მალაშევს შორის დაიდო ხელშეკრულება შესახებ რუსეთის მონაწილეობის ამ ბაზრობაზედ რუსეთის განყოფილებას ეწოდება: „პავილიონი რუსეთის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა, რომელიც წარმომადგენელია ცენტრალური რუსეთის უკრაინის, ბელორუსეთის, ა. კ. რესპუბლიკათა ფედერაციის, თურქესტანის და ციმბირის საკომერციო ორგანიზაციებისა“.

ამიერ-კავკასიის ექსპონატები იქნება შემდეგი მთავარი დარგებისაგან; სასოფლო-სამეურნეო ნედლეულობის და ფაბრიკატების განყოფილება გაგზავნის: თუთუნის ფოთლებად (ამიერ-კავკასიის სახელმწიფო სავაჭრო კომის. აფხაზეთის სახკომსაბჭო და აფხაზეთის პლანტაციების კავშირი), თამბაქოს ნაწარმოებს (საქართველოს თამბაქოს ტრესტი), აბრეშუმს (ამ.-კავკ. სახელმწ. სავაჭრო კომის., აზერბეიჯანი საქართველო), კონსერვებს, ჩირს, საბზას, მინდალს, ჩურჩხელას, თხილს (სომხეთი. საქართველო, ამ.-კავკ. სავაჭრო სახ. კომის.) ღვინოს, არაყს, სპირტს (საქართველოს სახელმწიფო მარანი, სომხეთის „არარატი“ აზერბაიჯანის სახელმწიფო მარანი, საქართველოს ღვინის ტრესტი), მესაქონლეობის პროდუქტებს (ცენტროკავშირი და ამ.-კავკ. სახელმწიფო სავაჭრო კომის.—ჯაგარს, ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირი—წელებს, საქართველოს სამეურნეო საბჭოს ტყავეულობის განყოფილება—ქეჩას და ტყავებს, საქართველოს მიწადმოქმედ. სახ. კომისარიატი და სომხეთის სახელმწ. ვაჭრობის კომის. შვეიცარულ ყველს, აფხაზეთის სახალხო კომის. საბჭო ზღვის ლორის ქონს. აზერბეიჯანი ტიულენის ქონს, თევზეულობის პროდუქტებს (აზერბეიჯანი); შინამრეწველობის განყოფილება გაგზავნის ვერცხლის სამკაულებს (სომხეთი) აბრეშუმის ქსოვილებს (აზერბეიჯანი): სამთო განყოფილება—მარგანეცს, ქვანახშირს, ბარიტს, ინფუზორიტს, გლაუბერის მარილს, მინერალის წყლებს (საქ. სამეურნ. საბჭო, ჩემო, ბორჯომის მამული), ხეტყის დარგიდან—მუხის პარკეტი კაკლის ხე, საგვიტი, ბამბუკი და სხვ. (საქართველო, აზერბეიჯანი და ამ.-კავ. სახელმწ. სავაჭრო განყ).

საკონცესო საკითხის ჯგუფში წარმოდგენილი იქნება: 1) სამთო განყოფილებაში სპილენძის მადნის ნიმუშები და ალავერდის ქარხნის ნაწარმოები, დასკებანის რკინის მადნები, ტყვარჩელის ნახშირი—და სატყეო განყოფილებაში—ხეების ჯიშის ნიმუშები, ქარხნები, დიაგრამები კოდორის, ენგურის, რაჭის, ბალდადის და ლაგოდეხის სატყეო რაიონების.

წარდგენილი იქნები აგრეთვე საკონცესიო ხასიათის მასალები შესახებ მელიორაციისა და ელექტროფიკაციის

კულტურულ-განმანათლებელი ხასიათის ექსპონატების გაგზავნა შეუძლია, მაგ. საქ. სახ. განათლ. კომისარიატს, კინემატოგრაფიული სურათები, რომელიც თავ..ს ხარისხით არ ჩამოუვარდება საზღვარგარეთელს. როგორც ვხედავთ მთავარი მონაწილე არის საქართველო და კიდევაც შეუდგენ სამზადისს სათანადო სახელმწიფო და სამეურნეო ორგანიზაციებმა.

## მუშათა ცხოვრება

### საჭიროა ღარიბთა სასადილო.

დღეს რომელიმე მოქალაქეს რომ შევეკითხოთ, რატომ არსებობს ქალაქის თვითმმართველობაო გიპასუხებს;—იმიტომ, რომ მან უნდა დაიცვას მოქალაქეთა ინტერესებიო.

ასეთი გონიერი პასუხი ჩვენი აზრით სრული ჭეშმარიტებაა... ვინ არ იცის, რომ ქალაქის თვითმართველობის მთელი მზრუნველობა და ყურადღება მხოლოდ და მხოლოდ ქალაქის მცხოვრებლებისაკენ საზოგადოდ და კერძოდ ღარიბი მოსახლეობისაკენ უნდა უყოს მიმართული.

იყო დრო, როდესაც ღარიბი მშრომელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესები, როგორც კულტურულად, ისე ეკონომიურად ჟანდარმერიისა ცენზორების „წითელი კალმის“ ნებისყოფაზე იყო დამოკიდებული. ასეთი წეს-წყობილება განწირული იყო და აკი ჩაბარდა კიდეც ისტორიის შავ ფურცლებს.

ძველი დაინგრა და ახალი ცხოვრებისთვის, რაღა თქმა უნდა, რომ ახალი ფორმები და ახალი პირობები გვესაჭიროება.

ძველადაც არსებობდა დიდ ქალაქებში, მაგ. მოსკოვში, სასადილოები ღარიბთათვის, რომელსაც ინახავდა ქალაქის თვითმართველობა. იქ, მაგ. ვსადილობდით 15 კაპიკად. მე თვითონ ვყოფილვარ ჯარისკაცობის დროს ასეთ სასადილოში. სასადილოს ვეებერთელა დარბაზი სულ ბოგანო ხალხით იყო გავსილი; აქ ნახავდით შავ მუშებს, გლეხებს, ღარიბ სტუდენტ-ინტელიგენტებს და აგრედვე ჯარის-კაცებს. მთვრალ კაცს არ უშვებდნენ შიგა და არც მაგარ სასმელებსა ჰყიდდნენ. ეს სასადილო სადამოს 9 საათის შემდეგ იხურებოდა. შიგ იყო მოთავსებული უფასო სამკითხველო და დიდი თეატრი. მშვენიერ დრამას ან ოპერას რომ ნახავდით, გადაიხდიდით რაღაც 5—10 კაპეიკს. მე ვისადილე, მშვენივრად დავნაყრდი და გადავიხადე სულ 15 კაპ.

ძალიან გამიკვირდა და, როდესაც შევეკითხე იქაურ მსახურებს შინაარსი ამ დაწესებულებისა, მიპასუხეს, რომ ეს დაწესებულება საქალაქოა, მას განაგებს ქალაქის თვითმართველობა. ის ფულის მოგებით არ არის დაინტერესებული, იგი იმ ფასებში ჰყიდის სანოვაგეს, როგორც ყიდულობს. მხოლოდ მოგებას იღებს იმდენს, რამდენიც ხარჯების დასაფარავად ეყოფა (მსახურები, განათება, შენობის ქირა და სხვა) უმთავრესი მიზანი კი ისა აქვს, რომ **საშვალება მისცეს ღარიბებს და უმუშევარ ხალხს თვითარსებობისა**.

რაღა თქმა უნდა, არავინ იფიქრებს, რომ ნიკოლოზის მთავრობა ღარიბ-ბოგანო ხალხზე ზრუნავდა.

მაგრამ ჩვენ გვეინტერესება თვითონ სასადილო, რომელიც იქნება მოწყობილი **ყოველგვარი კომერციულ პრინციპის გარეშე**—სასადილო, რომელიც იქნება იმ მიზნით დაარსებული, რომ ეკონომიურად გაჭირვებულ ღარიბ მშრომელ ხალხს განურჩევლად მათი მსოფლმხედველობის და პროფესიონალობისა დაეხმარება და გამოკვებავს შეღავათიან ფასებში.

შეიძლება ვინმემ გვითხრას, რომ-ეხლა სადა სცალიან ქალაქის მმართველობას მაგისთანა საქმეებისთვინაო, ჩვენის აზრით სწორედ ეხლა არის საჭირო ასეთი მუშათა ან ღარიბთა სასადილოების დაარსება, როდესაც სიღარიბე და უმუშევართა რიცხვი [illegible] აღწევს და [illegible] მახინჯ სპეკულიაციიდან [illegible] რა თქმა უნდა ახლა არის საჭირო, თორემ აბა რა აზრი ექნება მათ დაარსებას მაშინ, როდესაც გაივლის დრო, ცხოვრება შესაფერის კალაპოტში ჩადგება და მუშათა კლასიც ეკონომიური პირობებით კმაყოფილი იქნება?

მართალია ქალაქის თვითმმართველობა დატვირთულია მრავალი საქმეებით, ის ბევრსა ზრუნავს ქალაქის გაჯანსაღებისათვის, მაგრამ არ დავმალავთ და ვიტყვით, რომ **მშრომელი მუშა ხალხის კვების საქმე** ჩაბარებული აქვთ სრულიად არა ჩვენთვის სანდო ელემენტებს—ესენი არიან ჩვენი ბაზრის ჩარჩები და სპეკულიანტები.

დღეს არ ვიცით რა ბედი ეწვია, მაგრამ ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ მოსკოვში ერთ დროს არსებულ ტიპის სასადილოებით. განსხვავება მაშინდელ და ეხლანდელ სასადილოებს შორის ის იქნება, რომ მაშინდელივით სასადილოებში აღარ გვექნება ნიკოლოზის სურათი, ხატები და „ოხრანკის“ ჯაშუშები.

დღევანდელი ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა ამის განხორციელებას უეჭველად გვიკარნახებს.

დღეს ჩვენ რასაც კი ვაკეთებთ ან აზრად მოგვივა გავაკეთოთ, უეჭველად კომერციულ სარჩულს ვუდებთ დაწყებულ საქმეს. ყველაფერში ასე არ უნდა მოვიქცეთ. არის პირობები, არის ისეთი მომენტები, როდესაც ეკონომიურად გაჭირვებულ ღარიბ ხალხს ანგარიში უნდა გაეწიოს; სახელდობრ:

ქალაქის განაპირა უბნებში, როგორც მაგალითად ნაძალადევში, ხარფუხში, ავლაბარში, ჩუღურეთში, ვერაზე და ყველგან იქ, სადაც მოსახლეობს ღარიბი მუშა ხალხი, უნდა გაიხსნას სახალხო სახლები სასადილოების სახით, სადაც საშვალება ექნება მუშა ხალხს, შეღავათიან ფასებში თავი გამოიკვებოს და ერთხელ და სამუდამოდ უთხრას მუშა ხალხმა თავის მტრებს, რომ მისთვის ზრუნავს.

**წითელი ქალაქი!**

**რომელსაც ზურგს უმაგრებს, პროფკავშირები, მუშათა კოოპერატივები და რაც მთავარია მუშათა კლასი.**

კარგი იქნება მუშა-ამხანაგებმა თავიანთი აზრი გამოსთქვან ამის შესახებ.

მუშა **დ. მელი**.

### სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელ ექსპედიციაში

ამა იანვრის 18. მბეჭდავთა კლუბში, მოხდა ექსპედიციის მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრება.

ამ ექვსი თვის განმავლობაში ეს საზოგადო კრება პირველი იყო. მიზეზი ამისა არის ამ დაწესებულებაში დღე და ღამის განმავლობაში განუწყვეტელი მუშაობის წარმოება. ვინაიდან საზოგადო კრების მიერ ასარჩევი იყო ახალი ადგილობრივი კომიტეტი და სადელეგატო ყრილობა და მასთან მოსასმენი იყო ორივე ორგანიზაციის მოქმედების ანგარიში, კომიტეტის ინიციატორობით მოწვეულ იქნა საზოგადო კრება. გასარჩევი იყო შემდეგი საკითხები:

1) ადგილკომის მოქმედების ანგარიში, 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 3) სადელეგატო კრების მოქმედების ანგარიში, 4) მოხსენება ახალი ტარიფების დ კოლექტიურ ხელშეკრულების შესახებ, 5) ექსპედიციის კოლექტივის შესახებ, 6) კომიტეტის და სადელეგატო კრების არჩევნები და 7) მიმდინარე საკითხები.

ადგილკომის მდივანი კ. მეგრელიძე კომიტეტის მოქმედების შესახებ ამბობს შემდეგს: ადგილკომმა, დღიდან მისი არჩევისა, გამოყო სხვა და სხვა კომისიები. ყველა კომისიების მუშაობამ, ამ ექვსი თვის განმავლობაში, არსებითად მკრთალი და უნაყოფო კვალი გაავლო ექსპედიციის ცხოვრებაში. ამას ელობებოდა წინ, როგორც ობიექტიური ისე სუბიექტიური პირობები, რომლებთა სიუხვემ ანგარიშს გადააჭარბა. კულტურულ განმანათლებელმა კომისიამ მაგალითად ვერ მოიყვანა თავისი მისია სისრულეში დროისა და ბინის უქონლობის გამო. კომიტეტმა, განმარტავს მეგრელიძე, მოაგვარა საკითხი კატეგორიების შესახებ, რომელიც ყოველთვის იწვევდა მუშა-მოსამსახურეებში სამართლიან უკმაყოფილებას. კომიტეტის მიერ მოწესრიგებულ იქნა საკითხი ექსპედიციაში მუშა-მოსამსახურის მიღების შე-

ახებ, რომელიც უწინ ბეჭვდითი კავშიის გარეშე ხდებოდა. ზედმეტი მუშაოა, კოლექტიური ხელშეკრულებათა შეუშავება, პრემიალურ ჯილდოს საკითი, სპეც-ტანისამოსის და შეშის საკითი, ლოთობის მოსპობა, დამხმარე კასის აარსება და მრავალი კითხვები კომიეტმა მოაგვარა ისე, როგორც ამას მოთხოვდა ექსპედიციის მუშა-მოსამსახუეთა ინტერესები, ზოგიერთი დეფექების გამოკლებით.

კომიტეტის მოქმედების შესახებ მცირე მოხსენებით გამოდის სარევიზიო კომისიის წევრი ბეჟუაშვილი, რომელიც კომიტეტის მოხსენებას აღიარებს დამაკმაყოფილებლად ზოგიერთი ნაკლის ჩვენებით.

კომიტეტის მოქმედების შესახებ გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „მოვისმინეთ რა მოხსენება ექსპედიციის კომიტეტის შესახებ მიღებულ იქნას იგი დამაკმაყოფილებლად და კრება გადადის მორიგ საკითხების განსახილველად“.

სადელეგატო კრების მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს კრების მდივანი აკ. სირაძე. იგი აღნიშნავს სადელეგატო კრების არჩევის მიზეზებს, რომელთა შორის აღსანიშნავია ის გამუდმებული მუშაობა, რომელიც სწარმოებს. ექსპედიციაში სადელეგატო კრების შეკრება, განუწყვეტელ მუშაობის დროს, უფრო ადვილი იყო, ვინემ მთელი მუშა-მოსამსახურეების. შემდეგ აღნუსხავს სად. კრების მოქმედების ეტაპებს და ნაყოფიერებას.

შემდეგ ამისა განმარტავს 400 მილ. მანეთის შესახებ, რომელიც გაღებულ იქნა მთავრობის, (ადმინისტრაციის ინიციატორობით) მუშა-მოსამსახურეთათვის დასარიგებლად საჩუქრის სახით, (ინტენსიურ მუშაობის წარმოებისათვის) მასთან ადმინისტრაციის მიერ გამოთქმულ იქნა აზრი ხსენებულ 400 მილ. მანეთით შესყიდული ყოფილიყო სურსათ-სანოვაგე და ნატურის სახით დარიგებოდა მუშა-მოსამსახურეთ, რასაც ზოგიერთი „პოლიტიკოსი“ წინააღუდგა და 400 მილ. მანეთი დაურიგდა მუშა-მოსამსახურეთ ფულად.

სადელეგატო კრების მოქმედების შესახებ მიღებულ იქნა რეზოლიუცია „მოვისმინეთ მოხსენება სადელეგატო კრების შესახებ მიღებულ იქნა მისი მუშაობა დამაკმაყოფილებლად და კრება გადადის მორიგ საკითხს“.

კოლექტიურ ხელშეკრულებისა და ახალი ტარიფის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. არეშოვი, რომელიც კითხულობს პროექტს კოლექტიურ ხელშეკრულებისას. მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუზია: „მოვისმინეთ რა პროექტი კოლექტიურ ხელშეკრულებისა პოლიგრაფიულ წარმოების მუშათა კავშირის ცენტრალურ გამგეობისაგან გამომუშავებული, ჩვენ სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელ ექსპედიციის მუშა-მოსამსახურენი, თავის საერთო კრებაზე აღვნიშნავთ რომ ხელშეკრულება შეიცავს ბევრ დადებითი მხარეებს; მისი განხორციელება თავდებია მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესებისა, იწონებს რა მას მთლიანად, საერთო კრება ავალებს ცენტრალურ გამგეობას განახორციელოს იგი“.

კოლექტივის შესახებ მოხსენება გადაიდო შემდეგი კრებისათვის, რომელიც კრების გადაწყვეტილებით უნდა შესდგეს ამავე თვის 23-ში.

შემდეგ ამისა არჩეულ იქნენ კომიტეტის წევრები და სადელეგატო კრება 0 პირისაგან შემდგარი.

იანვრის 23 დანიშნულ საზოგადო კრებაზე გასარჩევი იყო მხოლოდ კოლექტივის (კოოპერატივის) საკითხი. მომხსენებელმა ამხ. მოლჩანოვმა კრებას განუმარტა შემდეგი: რევოლიუციის დრომდე კოოპერაცია ვითარდებოდა საზღვარგარეთ, განსაკუთრებით ინგლისში და გერმანიაში იმ სახით, რომ ძვირად თუ უ შეხვდებოდით მუშას, რომელიც კოოპერატივის წევრად არ ირიცხებოდეს. გლეხებს შორის კოოპერატივი იდგა განსაკუთრებულ სიმაღლეზე.

რუსეთში ამ მხრივ უფრო სუსტად იყო საქმე დაყენებული. კოოპერაცია რუსეთში იყო „კულაკების“ და მუშა კი კოოპერატივიდან შორს იდგა და არც იღებდა მასში მონაწილეობას.

იმპერიალისტურ ომის დაწყებისას კოოპერაციის საქმეს საერთოდ და კერძოთ მუშებისას ბოლო მოეღო.

რევოლიუციის ხანაში, კოოპერატივები მუშათა კოოპერატივების პრინციპის თანახმად დაარსებულნი, იყვნენ მხოლოდ, მომარაგების ორგანიზაციების დამხმარე დაწესებულებები. სახელმწიფოს დაცვისათვის იხარჯებოდა ყველა რესურსები და ორგანიზაციული ძალა, მასთან მეურნეობის ყველა კვალიფიკაციური ელემენტები. ამ გვარ მდგომარეობის დროს ცხადია კოოპერატივის აღმშენებლობაზე ფიქრიც შეუძლებელია.

ყველა ძალების გამოყენებამ მთავრობას მისცა სრული გამარჯვება თავის პოლიტიკაში, თუმცა კი გარეგანი შეხედვით იგი გამოიხატა 1921 წ. სოციალურ-ეკონომიურ კრიზისში. ეკონომიურ დაშლის პროცესში ქალაქი უფრო მალე გრძნობს კრიზისის გავლენას ვინემ სოფელი. ვისაც აქვს პური ის არის მბრძანებელი.

მუშათა კოოპერატივები იკრებენ თავის განვითარების უფლებებს მთელ მსოფლიოში. მუშათა კოოპერატივებისაკენ არის მიქცეული მსოფლიოს მუშათა ყურადღება. მუშათა კოოპერატივები იღებენ მონაწილეობას საქონლის გაცვლა-გამოცვლის საქმეში და გამოფენებზე ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში. საბჭოთა რე'პუბლიკებში მუშებს მოუწოდებენ კოოპერატივების ირგვლივ შეჯგუფებას. მუშები და გლეხები ებმებიან კოოპერაციის აღმშენებლობაში.

ზედმეტია მისი მტკიცება თუ რა დადებითი მხარეები აქვს კოოპერაციას. მისი დევიზია „ერთობაშია ძალა“ მთავარი მიზანი კოოპერაციის არის: 1) მომარაგება ყველა წევრის მისთვის საჭირო სურსათ-სანოვაგით და პირველ საჭირო საგნებით, 2) ყოველგვარი ზომებით დახმარება წევრის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ყველა ზემო აღნიშნულის კარგად გათვალისწინებით უნდა მიუდგეთ კოლექტივს. ამ უკანასკნელის შესახებ ამხ. მოლჩანოვი აღნიშნავს თუ რამდენი შემოსავალი ჰქონდა მას და რამდენი გასავალი. აღნიშნავს აგრეთვე იმას, რომ კოლექტივს ათი დღის განმავლობაში ე. ი. დღიდან მისი დაარსებისა წმინდა მოგება ჰქონია დაახლოვებით 38 მან. ოქროთი იმ დროს, როცა საქონელი კოლექტივში ერკოპის ფასების თანახმად იყიდებოდა და ზოგიც კი უფრო იაფათ.

კოლექტივის ათი დღის მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს სარევიზიო კომისიას რომლის მოხსენებას ცოტა დემაგოგიის სუნი დაჰკრავდა. ეს ცხადია, მენშევიკები თავის ბატონობის დროს შეგნებულათ თუ შეუგნებლად ებრძოდნენ კოოპერაციის განვითარების საქმეს საქართველოში (იხ. ამხ. ერქომაიშვილის წერილები „პრავდა გრუზიაში“) და აქაც მათი ავადმყოფობა უეჭველია მემკვიდრეებს გადმოეცემოდა. ზოგიერთ ვაჟბატონთ, რომელთა გონება მარტო თავისი კერძო ინტერესებით არის აღვსილი, მენშევიკების ხმას აჰყოლიან და ჩაკვლას უპირებენ, ყველგან სადაც კი მისწვდება მუშათა დაწყებულ საქმეს. მაგრამ მათი ცდა აქაც უნაყოფოთ ჩატარდა და საზოგადო კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„ა) საზოგადო კრებამ მოისმინა რა მოხსენება ინჟინერ მოლჩანოვისა, ექსპედიციის კოლექტივის შესახებ სცნობს მის მოქმედებას დამაკმაყოფილებლად და აღიარებს კოლექტივის არსებობის აუცილებლობის საჭიროებას ექსპედიციაში“. ბ) დაწესებულ იქნას საპაიო გადასახადი 10 მანეთი ოქროთი. მასთან პირველად გადახდილ იქნას კოლექტივისათვის 1 მანეთი და შემდეგ ნაწილობრივ სურვილისამებრ, მხოლოდ არა ნაკლებ 50 კაპეიკისა ოქროთი. გ) მიღებულ იქნას საწევრო გადასახადი ყველასათვის 10 კაპ. დ) არჩეულ იქნას კოლექტივისათვის სარევიზიო კომისია რომელიც შესდგა ხუთი წევრისაგან. ე) დაევალოს კოლექტივის პრეზიდიუმს შეიმუშაოს წესდება და მომავალ საზოგადო კრებას წარმოუდგინოს განსახილველად და დასამტკიცებლად.

ასე მუშაობს და ამ სახით ებრძვის სისხლის მწოველ სპეკულიანტებს ექსპედიციის კოლექტივი. ამ უკანასკნელს ბევრი დემაგოგები, გაიძვერა მტრები ჰყავს, მაგრამ ექსპედიციის შეგნებული მუშები თავისებურად მაგრად დახვდება საერთო საქმის მოღალატე პიროვნებებს და თავის მუშაობას დააყენებს სალ ნიადაგზე. ვინც კოოპერაციას ებრძვის ის ხელს უწყობს სპეკულიაციის ფართეაშს და ამ გვარი პიროვნებანი გაკიცხვის ღირსია.

Sumnlucumus.

### მქსოველთა კავშირში

მქსოველთა კავშირმა თავის პრეზიდიუმის წევრთ დაავალა იშუამდგომლოს საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სატარიფო ეკონომიურ განყოფილების წინაშე, რათა აუცილებლად დაარსებულ იქნას უმაღლეს სამეურნეო საბჭოსთან მქსოველთა განყოფილება. ეს განყოფილება უნდა წარმოადგენდეს ისეთ დაწესებულებას, რომელიც შესძლებს საქართველოში საქსოვ ნაწარმოების საქმის კარგ ნიადაგზე დაყენებას. ამ განყოფილებამ უნდა შეაერთოს ყველა სამეურნეო ხასიათის ორგანოები და ამით გააუმჯობესოს მქსოველთა მრეწველობა.

### კომუნალურ მეურნეობის კავშირში

კომუნალურ მეურნეობის კავშირის ცენტრალურ გამგეობის სეკრეტარიატმა დაადგინა: 15 თებერვლისთვის მოიწვიოს კომუნალურ მეურნეობის კავშირის პლენუმის გაფართოებული სხდომა, რომელზედაც გამოწვეულ უნდა იყოს ყველა საბარგო კომუნალური მეურნეობის განყოფილების და ადგილობრივი კომიტეტის წევრები. სხდომაზე გარჩეულ იქნება შემდეგი საკითხები: კომუნალურ მეურნეობის კავშირის ცენტრალურ გამგეობის სეკრეტარიატის ანგარიშები, სატარიფო საკითხი, საორგანიზაციო, საფონდო და სხვა მიმდინარე საქმეები.

### ქიმიკოსთა კავშირში

კვირას 28 იანვარს ქიმიკოსთა კავშირის ხუთი წლის არსებობის გამო პროფესიონალურ კავშირების საბჭოს პლენუმში შესდგა ქიმიკოსთა საზეიმო სხდომა. სხდომა გახსნა ამხ. ავეტისოვმა, რომელმაც აღნიშნა ქიმიკოსთა კავშირის ხუთი წლის არსებობის თავი და მისი მნიშვნელობა სრულიად რუსეთის მაშტაბით. ამხ. ავეტისოვის შემდეგ პროფკავშირის საბჭოს და პარტიულ ცენტრალურ გამგეობის სახელით მოხსენება გააკეთა ამხ. ვირაპმა, აღნიშნა რა ქიმიკოსთა საერთაშორისო მდგომარეობა და მათი მნიშვნელობა, გადავიდა პროფესიონალ მოძრაობის შესახებ რუსეთში.

შემდეგ ამხ. ვირაპმა ილაპარაკა ქიმიქოსთა ამ დღის მნიშვნელობაზე და ესალმება ქიმიკოსთა ხუთი წლის არსებობისთვის. მისასალმებელი სიტყვებით წარსდგნენ ბევრი დეპუტატები. მოხსენებების შემდეგ გაიმართა საკონცერტო განყოფილება ფართე პროგრამით და კინემატოგრაფი. სხდომას დაესწრო ორასამდე მუშა-მოსამსახურე. ავჭალიდან დროშით და რევოლიუციონური სიმღერებით ჩამოვიდნენ ასამდე მუშა. კრებამ გაუგზავნა ც. კომ მისალოცი დეპეშა.

— შაბათს 27 იანვარს ასანთის ქარხანაში (ოქტომბრის რევ. სახელობის) მოხდა ხელ-ახალი არჩევნები წევრების. არჩევნების მერე განხილულ იქნა ადგილობრივ კომიტეტის ანგარიშები.

# მსოფლიო ომი და ევროპის მცხოვრებთა მოძრაობა

(გაგრძელება)

**თ. ომის გავლენა მეომარ ქვეყნების მომავალ ბედზე.**

ჩვენ განვიხილეთ მსოფლიო ომის გავლენა მცხოვრებთა საერთო რაოდენობაზე, ქორწინება-დაბადება სიკვდილიანობაზე, შევადარეთ სიკვდილიანობათა რაოდენობა დაბადებათა რაოდენობას და დავინახეთ რომ ომის განმავლობაში თითქმის ყველა მეომარ ქვეყნებში სიკვდილიანობამ აიმატა, ხოლო ქორწინებათა და დაბადებათა რიცხვმა იკლო. დავინახეთ აგრეთვე რომ ევროპის თითქმის ყველა ქვეყნებში ომის დროს მცხოვრებთა საერთო რაოდენობა თანდათან მიიმართებოდა უკუქცევითი მიმართულებით. აღვნუსხეთ აგრეთვე დღევანდელი და მომავალი თაობის ფიზიკური და პსიქიური მდგომარეობა.

ცხადია, საკითხი ეხლა დაყენებულ უნდა იქნეს შემდეგი სახით: როგორი ხასიათისაა ეს ცვლილებები ომის მიერ გამოწვეული დროებითი, თუ ამ ცვლილებებს მოყვება უფრო არასასიამოვნო შედეგები და ევროპის მცხოვრებთა შორის სიკვდილიანობა გაიმარჯვებს საბოლოოთ და სამუდამოთ დაბადებულებაზე?

ისტორიული მიმოხილვა წარსული ომებისა გვიჩვენებს, რომ წინა ომების დროსაც ადგილი ქონია სიკვდილიანობის ამატებას და დაბადებულთა რაოდენობის დაკლებას, მხოლოდ ომების დამთავრების შემდეგ ქორწინებათა და დაბადებათა რაოდენობა ამატებულა და და მიუღწევია ნორმამდის. უკანასკნელ ომის დროსაც ადგილი ქონდა ამ ამატებას მაგ. პრუსიაში უკვე 1919 წლიდან დაბადებულთა რიცხვმა გადააჭარბა სიკვდილიანობას; 1920 წელში გერმანიაში დაბადებულთა რაოდენობა გაუთანაბარდა სიკვდილიანობას; ინგლისში—კი დაბადებულთა რაოდენობა ავიდა ეგეთ ციფრებზე, რომლებსაც ადგილი ქონდა მხოლოდ 1910—11 წლებში, ამავე დროს კი სიკვდილიანობა საკმაოდ დაეცა. საფრანგეთშიაც ადგილი აქვს აღნიშნულ მოვლენას.

მაგრამ ეს პირველი სიმპტომები დაბადებათა ამატებისა სიკვდილიანობაზე ომის დამთავრების პირველ წლებშივე არ არის ხანგძლიერი, ვინაიდან ზემოხსენებულ წლებში ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, დემობილიზაცია მოხდენილ ჯარისკაცთა სახლში დაბრუნებაზე დამოკიდებული. მეორე მხრივ დაბადებულთა მცირე რიცხოვანობა თავს იჩენს მხოლოდ 20—30 წლის შემდეგ, როდესაც დღევანდელი მამები ადგილს დაუთმობენ წამოზრდილ შვილებს და უკანასკნელნი დაიწყებენ ოჯახურ ცხოვრებას. სწორედ 1935—40 წლებში თავს იჩენს მამების მცირერიცხვიანობა და ცხადია რომ—დაბადებულთა რიცხვიც არა იმდენი იქნება, რამდენიც უნდა ყოფილიყო ნორმალურ პირობებში.

არსებობს კიდევ ერთი მოვლენა რომლის მიხედვით შეუძლებელი ხდება დადებითი პროგნოზის დასმა.

წარსულ საუკუნის მე-70 წლებიდან მცხოვრებთა შემატება იმდენათ არ იყო დამოკიდებული ქორწინება-დაბადებათა რაოდენობის ამატებაზე, როგორც სიკვდილიანობის შემცირებაზე. ეს შემცირება მოხდენილ იქნა მედიცინის და ჰიგიენის მეოხებით. მაგრამ სიკვდილიანობის შემცირებას აქვს თავის საზღვარი, რომლის შემდეგ მედიციხა და ჰიგიენა უძლურნი არიან, და თუ მცხოვრებთა რაოდენობის შემატება მარტო ამ უკანასკნელ ფაქტზე იქნა დაყრდნობილი და არა ქორწინება-დაბადების ამატებაზე, მაშინ დადგება დრო, როდესაც სიკვდილიანობა ერთ ხაზს მიიღებს და ამ ხაზისაკენ ლაეშვება დაბადებათა რაოდენობაც, შემდეგ—კი სიკვდილიანობა საბოლოოთ გადააჭარბებს და ცხადია, ერი დადგება ამოწყვეტის საშიშროების წინ.

ეგეთ მოვლენას ადგილი ქონია საფრანგეთში. მცხოვრებთა რაოდენობა იმატებდა იქ არა მით, რომ იმატებდა დაბადებათა რაოდენობა, არამედ იმისათვის რომ იკლებდა სიკვდილიანობა. დაბადებათა შემცირების ტენდენციას ადგილი აქვს თითქმის ყველა კულტურულ ქვეყნებში: ძლიერ გავრცელებულია ორ ბავშიანობა—მშობლები თავის მოდგმას მხოლოდ ორი ბავშის შექნით საზღვრავენ—ადგილი აქვს აგრეთვე სრულიად უშვილოსნობას და განსაკუთრებით ეგეთი მოვლენაა გავრცელებული ნეომალტუზიანელებთა შორის. ნეომალტუზიანელთა დოქტრინა ეგეთ დედებს თეორეტიული საფუძვლებით უმართლებდა შვილის ყოლის უარყოფას, ხოლო სათანადო ინდუსტრია და საექიმო პრაქტიკა საშუალებას აძლევდა მათ ზედმეტ ბარგისაგან განთავისუფლებისათვის.

ამნაირად თითქმის ევროპის ყველა კულტურულ ქვეყნებში, ერთი მხრივ ომის გამანადგურებელმა შედეგებმა, მეორე მხრივ კი გავრცელებულმა ტენდენციამ შვილების შეუძენლობისა, სიკვდილიანობას ნელ-ნელა აუდგა ფეხი. დაბადებათა რაოდენობამ იკლო, ხოლო მცხოვრებთა საერთო რიცხვმა დეფიციტისაკენ ჩამოიწია.

თუ მომავალშიაც დაბადებათა და სიკვდილიანობათა ურთიერთშორის დამოკიდებულება რაიმე მიზეზებით საკეთილდღეოთ არ შეიცვალა, თუ სოციალ-ეკონომიური პირობები, რომლებიც არსებობენ დღეს არ გაუმჯობესდა, თუ ადამიანთა შორის გაღვივებული არ იქნა კვლავ მამობრივი მოვალეობა და დედობრივი გრძნობა, თუ ხელოვნურად შვილოსნობის შეწყვეტას ბოლო არ მოეღო; მეორე მხრივ კი, თუ კვლავ აღიმართა ახალი ფრონტები, ახალ შეჯახებებს ექნა ადგილი, ცხადია ევროპის ქვეყნები მრავალ წლებით ჩავარდება უმწეო მდგომარეობაში; ეგეთი ქვეყნები დაჩიავდებიან, დასუსტდებიან პოლიტიკურად, ხოლო ფიზიკურათ დაადგებიან გადაგვარების გზას და საბოლოო ამოწყვეტისაკენ გაექანებიან. ამის სიმპტომები, როგორც დავინახეთ, მრავალრიცხოვანია.

ტ. ჩუბინიძე.

7 იანვარი 1923 წელი.
ქ. პეტროგრადი.

# ხელოვნება

## მოწაფეთა სიმფონიური კონცერტი პირველ კონსერვატორიაში

პერიოდული კონცერტების მოწყობა უმაღლეს მუსიკალურ სასწავლებელში—ფრიად პედაგოგიურია. ალბად ამ თვალსაზრით უდგება ამ საქმეს პირველ კონსერვატორიის დირექტორი ზაქარია ფალიაშვილი; უკვე მეორე წელია, რაც დრო გამოშვებით მის მიერ იმართება დიდი სიმფონიური კონცერტები, მხოლოდ კონსერვატორიის მოწაფეთა მონაწილეობით.

ასეთივე კონცერტი შესდგა კონსერვატორიის დარბაზში ამა იანვრის 21-ს. დასაშვებია, რომ შესრულების მთლიანობა არ იყო ნამდვილ ამოცანის სიმაღლეზე, მაგრამ მიღწევები გვარწმუნებენ, თუ როგორ სერიოზულადაა დაყენებული პედაგოგიური ნაწილი კონსერვატორიაში. გადაუჭარბებლად შემიძლია ვსთქვა, რომ ჩვენი კონსერვატორია (შედარებით ნორჩი დაწესებულება) ამ საქმის სერიოზული დაყენებით, არ ჩამოუვარდება რუსეთის სატახტო კონსერვატორიებს.

მუსიკალური განათლების დონე, აღნიშნულ სასწავლებელში, „ტრიბუნის“—ფურცლებზე მე უკვე ავღნიშნე. ერთი უარყოფითი მოვლენაც არის აღსანიშნავი, სახელდობრ ის, რომ ზოგიერთი მასწავლებლები მოწაფეთა შესასრულებელ პროგრამაში უშვებენ ისეთ განსაკუთრებულ სიძნელის მუსიკალურ ნაწარმოებთ, რომლის შესრულება მოწაფეთა ძალას აღემატება.

უნდა გვახსოვდეს, რომ მუსიკალურ განათლების მთავარი მიზანი, კონსერვატორიაში, როგორც უმაღლეს სასწავლებლებში განსაკუთრებით, არის ის, რომ მოწაფეებში აღიძრას მისწრაფება შედარებით დამთავრებულ შესრულებისა. მთავარი მარტო ის არ გახლავთ, რომ ესა თუ ის მუსიკალური ნაწარმოები ტეხნიკურად კარგად იქნეს შესრულებული. რასაკვირველია, კარგი ტეხნიკური შესრულება, ეს უკვე დიდი მიღწევაა, მაგრამ პიესა რომ მოწაფის გონებასა და სულში ჩაწვდეს და არა მარტო თითებში გაიჩხიროს, ეს უფრო მისაღები და საგულისხმიეროა. საჭიროა,—მოწაფემ თავისი აზროვნებითა და სულიერი სიღრმით შეიგრძნოს შესასრულებელი ნაწარმოების შინაარსი. მაშინ მას გამოუვა უმჯობესი ფრაზიროვკა და უკეთესი მუსიკალობა, საერთოდ უმეტესი დამთავრება.

მაგ. მოწაფე—ქალი სერობიანი, უტყუარი ნიჭის პატრონია და კარგი ტეხნიკურ ფრაზიორობის მქონე.

(სიკვდილის ცეკვა) ეს მუსიკალური სურათი ღრმა ფილოსოფიური შინაარსიისა. ამ შემოქმედების ტემპი, ეს დიდი გრიგოლის ლიტურღიაა, dies irae სურათი, რომელიც სავსეა მისტიციზმით და საშუალო საუკუნოების ბნელ შეხედულებებით საიქიოს ცხოვრებაზე. ეს არის სურათების რიგი: „სვლა საქიოში, საშინელ სამსჯავროზე“. აი, მოდის ეპისკოპოზი აგერ ჯარის კაცი, აი კურტიზანკა, ესეც მონაზონი და სულ ასეთი დაუსრულებლივი სვლა.

ყოველი მათგანი ხასიათდება თავისებური მუსიკალური თემით, და ამას ხაზი უნდა გაესვას, უნდა მოცემული იქნას მთლიანი სურათი. ცხადია, საეჭვოა, რომ მოზარდი სერობიანის გულმა ყოველივე ეს აითვისოს და გადმოგვცეს,—და თუ სერობიანი მომავლისათვის ისურვებს შეასრულოს ზემო აღნიშნული Danse Macabre, დიდ ესტრადაზე, სადაც მას უკანასკნელის შესრულებას მოსთხოვენ არა როგორც მოწაფეს, მას მოუხდება მისი სულ-ახალი გადასწავლება... ყოველ შემთხვევაში, მოწაფე სერობიანი (პროფესორ ვინოგრადოვის კლასისა) ფრიად ნიჭით დაჯილდოებულია, მან გამოიჩინა მუსიკალობაც და ფრაზიროვკის ლამაზი ხმარებაც. ტეხნიკური შესრულების მხრითაც.

მოწაფე კაზარიანი (პროფესორ ტერ-სტეფანოვის კლასისაა) მას დიდი თავდაჭერილობა ეტყობა, იცის ლამაზი და მოხერხებული ხმის აღება და გამძაფრული რიტმი. მოწაფე სვანიძე (პროფესორ აისბერგის კლასისა) შამოსარჩევია როგორც კლასიკებს მიხვედრილი, განსაკუთრებით და კერძოთ ბეთხოვენსა და ბახს. მხოლოდ ეს ფაქტი საკმარისი მღაღადებელია მისი ნიჭიერების სერიოზული მიმართულებისა. მას ეტყობა საპიონინო მიდრეკილება მუსიკალობა და ფრაზიორობის

აჟურული ტეხნიკა (perle). თუმცა ღა ბეთხოვენის კონცერტი es-dur, მოითხოვს შესრულების სტილიანობას, თუნდაც რიტმის მხრით.

უსათუოდ დიდი ნიჭის მქონეა მოწაფე ზომმიერი (პროფესორ ტრუსკოვსკის კლასისა). ეს ახალგაზრდა უთუოდ დიდ იმედებს იძლევა და წინ მიიწევს ყოველ დღიურათ კი არა, ყოველ საათობით, ზომმერის შესრულებას მე ყველაფერში ვერ დავეთანხმები რასაკვირველია, მაგალითად— მეორე თემა (Staccato—ოქტავებით) უნდა სრულდებოდეს უფრო ნელის tempo an. მოწაფე ზომმერი აქ ძლიერ უჩქარებს, ნაცვლათ მოცემულ მუსიკალურ სურათისა და ფრაზიორობისა. ივივეა პირველ ნაწილის ფინალშიც. მაგრამ ladenza შესრულებული იქნა საგანგებოთ მუსიკალობით და მხატვრული გადმოცემით. საზოგადოთ ჩაიკოვსკის კონცერტის შესრულება მოითხოვს განსაკუთრებულათ გაცხრილულ დამუშავებას.

მოწაფე აივაზოვი, ვიოლიონჩელის კლასისა, წარმოადგენს აგრეთვე დიდ მუსიკალურ ტალანტს. მე ვერ ვეთანხმები მოწაფე აივაზოვს მის მიერ აღებულ კონცერტის შესრულებაში. მოსჩანს ერთგვარი ბოროტმოქმედება Piano-ზე, ნაცვლად კონცერტში ხმიერობისა. აივაზოვიც დამთავრებულ მუსიკოსათ ჩაითვლება. შემდეგში, საბოლოო განვითარება, მას უფრო დიდ საკონცერტო ესტრადებს გადაუშლის.

უსათუოდ ფართო მუსიკალურ ნიჭს წარმოადგენს მცირე-წლოვანი „სკრიპაჩი" ბროდსკი (პროფესორი ლედნიკის კლასისა), რომელმაც შესანიშნავად შეასრულა კონცერტის პირველი ნაწილი—fis-mole. კონცერტის ვოკალური ნაწილი მოისუსტებდა.

მოწაფე სიპოვიჩმა შეასრულა, ოპერა „ვალკირიადან", „ვოტანის გამოთხოვება". (ციკლიდან „ღმერთების დილუპვა" პარტია ვოტანისა-ვაგნერში, მოითხოვს უფრო ძლიერ ხმას (basso profeudo) და უკეთეს ფრაზიორობას სიპოვიჩის შესრულება (პროფესორი რიადნოვის კლასისა) მართალი იყო და არ უდგებოდა ქ-ნი დოკუდოვის ხმას—(უფროსი მასწავლებლის რეშიმოვის კლასისა), ლიუდმილას არია, ოპერიდან „რუსლან და ლიუდმილაში".

დოკუდოვსკის ქალს ლირიკული სოპრანი აქვს, ხოლო ლიუდმილას პარტია —სოპრანო, ლირიკულ-კოლორატურულია. მომღერალ ქალს ეტყობა კარგი ტეხნიკური განვითარება. გამოსჭვივის კარგი შკოლა. კარგათ იქნა შესრულებული ოკსონას არია, ჩაიკოვსკის ოპერიდან „ჩერევიჩკა"—მოწაფე ალეინიკოვის მიერ (პროფ. ზელიონაიას კლასი).

კონცერტის დასაწყისს, მოწაფეთა ორკესტრის მიერ, ზაქ. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით შესრულებული იქნა პირველი და მეორე ნაწილი, ბეთხოვენის სიმფონიიდან, c mole.

მეორე განყოფილება გაიხსნა ორკესტრით, შესრულებული იქნა ზაქარია ფალიაშვილის ოპერიდან. „აბესალომ და ეთერი". მრავალ-რიცხოვანმა და სრულმა ორკესტრმა მოგვცა საუკეთესო ილიუსტრაცია ქართულ მუსიკალურ სურათისა.

მართლაც, რა საგანგებო და სანაქებო ორკესტრალობა და ინსტრუმენტალობა აქვს ზაქარია ფალიაშვილს ამ მხატვრულ ნაწარმოებში.

საზოგადოების თხოვნით, კონცერტის განმეორება სურთ სახელმწიფო ოპერის თეატრში, რასაც უსათუოდ მივესალმებით.

**პ. ბებუთოვა.**

## უცხოეთი

**სამხატვრო თეატრი ამერიკაში.** მოსკოვის სამხატვრო თეატრის ამერიკაში ჩასვლასთან დაკავშირებით, ამერიკელმა „პატრიოტებმა" შექმნეს კამპანია, რითაც აფრთხილებენ ამერიკელებს „ბოლშევიკურ ემისარებიდან", ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია „ამერიკული დამცველი საზოგადოება". ეს საზოგადოება პროტესტებით გამოვიდა სამხატვრო თეატრის გასტროლების წინააღმდეგ, „დამცველები" ამტკიცებენ, რომ გასტროლიორებმა რუსეთის დატოვების წინ ხელწერილი მისცეს საბჭოთა მთავრობას მასში, რომ ისინი: 1) არ გასწევენ აგიტაციას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, 2) თავის შემოსავლის მესამედს გადადებენ საბჭოთა მთავრობის სასარგებლოთ და 3) ტურნეს გათავებისთანავე რუსეთში დაბრუნდებიან. ამ „ცნობების" საფუძვლით ეს საზოგადოება მოითხოვს გასტროლების აკრძალვას: ამის გამო განმარტებები მისცა მორის გესტმა, მ. სამხ. თეატრის ანტრეპრენიორმა ამერიკაში და აგრეთვე დაარსებულ იქნა საზოგადოებრივ მოღვაწეთა კომიტეტები, რომელიც მფარველობას გაუწევს გასტროლიორებს. ამ კომიტეტში შედიან პროფესორები და თეატრის მოღვაწენი.

## სახალხო სახლი

### „კაცის სამართალი"

მიმდინარე სეზონში, სახალხო სახლთან არსებული ქართული დრამატიული დასი, ფრიად სერიოზულად მუშაობს. „სახალხო სახლის" ქართულ დრ. სექცია ასწრებს ახალ-ახალი პიესები დასდგას და თავის რეპერტუარი საგრძნობლად გაამდიდროს. ერთი ამ სერიოზულ პიესათაგანია **ნ. ნაკაშიძის დრამა „კაცის სამართალი"**.

„კაცის სამართალი" აღებულია გურიის ცხოვრებიდან. შეცდომა არ იქნება, თუ აღვნიშნავთ, რომ ეგნატე ნინოშვილის შემდეგ ნ. ნაკაშიძე პირველია, რომელიც ღრმად ჩასწვდა გურიის სულისკვეთებას და დრამატიულ ეპიზოდებში მოახდინა მისი სრული ექსპოზიცია.

„კაცის სამართალი" ფრიად საინტერესო და სერიოზულ არაკზეა აგებული ავტორს თავის პიესის თემად აუღია სოფლის და ქალაქის ურთიერთ დამოკიდებულების გარკვევა. აქ მოცემულია სოფლელი გულუბრყვილო ახალგაზრდა, რომელიც ოჯახის ნივთიერი რესურსების სისუსტის გამო, იძულებულია მსახურად გახდეს რომელიმე ვაჭართან და უკანასკნელად კი დიდი ქალაქის მდიდრის ოჯახში, სადაც ამ ოჯახის გარყვნილი ცხოვრება და ამხანაგთა წრე, ისეთ დაღს ასვამს უმწიკვლო სოფლელს რომ, სამუდამოდ, ამორალი ინსტიქტების მატარებელ ავაზაკურ ორბიტაში აქცევს მას.

პროვინციელი ახალგაზრდა გლეხი იმდენად მოიშხამა ქალაქის ატმოსფერით, რომ სოფელში დაბრუნების დროს ველარ ურიგდება ადგილობრივ კილორიტს, პატიოსან შრომას და უმთავრესად ოჯახურ და სახალხო ტრადიციებს.

საერთოდ—პრობლემა შფოთიანი ქალაქის წყნარ სოფელზე გავლენისა, სრულიად რეალურად აქვს გამოკვეთილი ავტორს და მაშასადამე იგი აუცილებლად სწორედ არის გადაჭრილი.

ფართო კრიტიკული გარჩევა ამ ნაწარმოებისა მოკლე წერილში არ შეიძლება, მხოლოდ აღსანიშნავია, რომ „ვინ არის დამნაშავეს" ავტორი „კაცის სამართალით" უფრო პოპულიარული ხდება—და ეხვეჭება სახელი ნიჭიერი დრამატურგისა.

სანამ პიესის დადგმის მხრივ ვიტყოდეთ რასმე, საჭიროა მოვიხსენიოთ პიესის შესახებ, კიდევ ერთი გარემოება: ამ დრამას სახელად ეწოდება „კაცის სამართალი" როდესაც არც სახელწოდება ამართლებს შინაარს და არც უკანასკნელი პირველს.

ამას გარდა ავტორის ნაკლად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ მეორე (მესამე) მოქმედებაში დარიკოს, სოფლელ დედაკაცს, წმინდა პოეტური ენით და ისეთი ესტეტიურ-ემოციონალური ეფექტით ალაპარაკებს, ხანგრძლივ დიალოგში, რომ ძალა-უნებურად იფიქრებთ, საქმე არა გვაქს ჩვეულებრივ სოფლელთან და რეალურ სურათი მწერლის სუბიექტიური ფანტაზიით ამეტყველებულა.

იანვრის 19-ის დადგმა „კაცის სამართლისა" სავსებით დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. პიესის დასასრულს, საერთო შთაბეჭდილებამ სერიოზული განცდა კამოიწვია ყველაში.

შეუდარებელია გოგია (ნინიძე) მთელი პიესის გასწვრივ. მისი პლასტიკური გრაცია და როლის ფსიქოლოგიური განცდა, არც ერთი სუსტი მომენტის მატარებელი არაა. საუკეთესოა გოგია უკანასკნელ მოქმედებაში, ციხეში. დარიკოსთან შეხვედრა და გამოთხოვება. გოგიამ, არამც თუ თვითონ განიცადა და ამ ტრაგიულ ყოფას შეუფარდა თავისი სულის მღელვარება, არამედ თვით მაყურებელსაც უმეშვეოდ გააცდევინა იგივე, რაც მსახიობის დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

დარიკო (გოგოლაშვილი) როლის სიმაღლეზე სდგას. არტისტიული ენებით გადმოგვცა გურული დიასახლისის ტიპი. ეს სახე კარგათ აქვს შეთვისებული მსახიობს. დიქცია შესაფერისი. შეიმჩნია პატარა დეფექტიც: ბავშიანი აკვნის, ცარიელ აკვნად მიღება. თუმცა სახლის კიბეზე ასვლის დროს ეს გამოასწორა, მაგრამ პირველი შეცდომა მაინც დარჩა. მეორე თავის დაჭერა ქმრის ამხანაგების მოსვლის დროს.

ნ. გოცირიძე, თუმცა პატარა ფიგურაა პიესაში, მაგრამ მშვენივრად შეასრულა როლი.

სრულიად მოსაწონია რომანიშვილი—დგებუაძეც.

ნუცა (იანქოშვილი) სუსტია. ვერც ვახტანგთან განშორების მომენტი გადმოგვცა შესაფერისი ფსიქოლოგიური ანალიზით და ვერც დიმიტრის შეულების გარდაწყვეტილებისა. მისი გოგიასთან საუბარი დამაკმაყოფილებელია. საერთოდ ამ როლის ასრულება მეტს არტისტიულ ტემპერამენტს მოითხოვს.

მსახური (ნინონი?) სამაგალითოა. მან შესძლო მდგომარეობის გარკვევა, ჟესტი შესაფერისია.

ნენა (—) პირველ დროს (სადილი) სუსტია, უკანასკნელად, გოგიას მიერ ფულის გატაცებს გამომჟღავნების დროს, შესაფერისია.

სილიე (მეტრეველი) ბავშის როლი, ძალიან კარგად იქნა შესრულებული ამ ბავშს კარგი მომავალი ექნება, საჭიროა ამ თავითვე მიექცეს მშობლების ყურადღება და შეუმზადდეს ნიადაგი მსახიობას უნარის გამოსამუშავებლად.

დიმიტრი (ხახანაშვილი), მოჭანდრაკე (ელიაშვილი) და მინადორა (—) ყველანი როლის შესაფერისი აღმოჩნდნენ.

ვახტანგი (—) თუმცა პოეტია, მაგრამ პოეზიის ყნოსვა აკლია, მიმიკა არ არის როლის შესაფერისი. დიქცია კარგია.

მოძღვარი (თაზიშვილი) სრულიად უნაკლოა. ხმის ინტონაცია, მოძღვრის რიხი აუცილებლად მოსაწონია.

გიმ ნაზიელი (მაისურაძე) გიმნაზიელი ქალები და დანარჩენი მონაწილენი შეგნებულად უწყობდენ ხელს ანსამბლს.

რეჟისორის ხელი (შ. დადიანი) მოსჩანს თვალსახებად.

თეატრში ჩვეულებრივი ვაკხანალია აღარ არის. ადმინისტრატორს ეტყობა საჭირო ზომებს იღებს თეატრში წესრიგის დასამკვიდრებლად.

-გ. თ—ლი

**ახალი მწერლობის კავშირში.** მომავალ კვირას, ხელოვანთა სასახლეში ახალი მწერლობის კავშირი მართავს საპანაშვიდო სხდომას, ახლად გარდაცვალებულ პოეტის **შალვა კარმელის** ხსოვნის აღსანიშნავად. სხდომაზე წაკითხულ იქნება მოხსენება გარდაცვლილ პოეტზე, წარმოთქმულ იქნება მისი ლექსები და სხვ.

### საბავშო სახლი № 9

### „კამოს" სახელობისა.

ერთ თვალსაჩინო საქმედ, რომელიც ჩვენში ახალი წყობილების დროს გაჩაღდა, საბავშო სახლების მოწყობა უნდა ჩაითვალოს.

ობოლი და ქუჩის ბავშების თავშესაფარის განხორციელებას რევოლიუციის მონაპოვართა შორის პირველი ადგილი უჭირავს. ამ პრინციპის უარყოფა დაუშვებელია; შეიძლება თვით ტეხნიკური მხარე ამ საქმისა აზრთა სხვა და სხვაობას იწვევდეს და ბევრი ნაკლიც აღინიშნოს, მიუხედავად ამისა, რომ გარდა საზოგადოების და პროფკავშირების წვლილისა თვით სახელმწიფო აუარებელ თანხას ხარჯავს;

ამ გარდამავალ ხანაში ასეთი დიდი საქმის სათანადო დონეზე დაყენება შეუძლებელია.

21 იანვარს საბავშო სახლში №9. გაიმართა ბავშებისთვის შობის ხე. მიპატიჟებული იყვნენ ბავშები სხვა სახლებისა. იყვნენ გარეშე სტუმრებიც.

დღესასწაული გახსნა გამგემ დიდ დარბაზში 5 ნახ. საათზე, სადაც გამართული იყო სცენა; პროგრამა მშვენიერად იყო შედგენილი იგი შეიცავდა:

1. ქართული ჯგუფისათვის ვაჟა-ფშაველას მოთხრობიდან „სათაგური" გადაკეთებულ საბავშო პიესას.
2. რუსული ჯგუფისათვის.
„Морозко", свободная инсценировка и „Кукольная комедия".
3. სომხური ჯგუფისათვის.
„ძველი და ახალი" საბავშო ოპერა.
4. რიტმიული მოძრაობა.
5. პლასტიური ცეკვა.
6. სიმღერა.

სასიამოვნო სანახავი იყვნენ პაწია მსახიობები თავიანთი მოწყობილობით.

მკაფიოდ და დაკვირვებით ჩაატარეს მონაწილეებმა თავიანთი როლები.

დიდი მხიარულება გამოიწვია ბავშებში თაგუნების მუსაიფმა და ცუნცულმა სცენაზე, რომელნიც ტაშის ცემით იქმნენ დაჯილდოებულნი.

განსაკუთრებით საამო იყო, არამც თუ ბავშებისთვის, დიდებისათვისაც მასწ. გოგლიჩიძის ხელმძღვანელობით შესრულებული რიტმიული მოძრაობა.

სცენის შამდეგ შობის ხე აინთო.

აქ კი პაწია სტუმარ-მასპინძლები.

სიხარულის ექსტაზით და ჟივილ-ხივილით საყვარელ და პატივცემულ, მოხუც მასწავლებლის გოგლიჩიძის ხელმძღვანელოაით შემოერტყენ ხეს და დასძახეს: „დაუაროთ შობის ხეს"...

დასრულს სტუმარ-მასპიძლები ჩაის შეექცენ და პაწია საჩუქრებიც მიიღეს

დიდი იყო მათი სიხარული. 10 საათზე პაწია სტუმრები გამოეთხოვენ ეგეთსავე მასპინძლებს და თავიანთი ხელმძღვანებით თავ-თავის სახლში დაბრუნდენ.

ნასიამოვნები დაიშალენ დიდი სტუმრებიც.

კამოს [illegible] არსებობს მხოლოდ 1-ნახ. თვეა ე. ი. 1 დეკემბრიდან, [illegible] ბევრია მიუხედავად ამისა სახლის გამგემ და მისმა თანამშრომლებმა მოახერხეს სასიამოვნო და სასარგებლო დღესასწაულის მოწყობა.

მადლობის ღირსია როგორც გამგე ისე მისი თანამშრომლები.

**დამსწრე სტუმართაგანი.**

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

**დაკარგე** დავკარგე პირადობის მოწმობა მიღებული თბილ. მილ. უფროსის სამმართველოდან ჩაითვალოს გაუქმებულად.

**იეხეზკელ იოსეფის ძე ჯინჯიხაშვილი.**

№ 384 1—1

**ალმასკომის გადასახადთა ბიურო**

**ამით აცხადებს, რომ პარასკევს, 2 თებერვალს, შუადღის 12 საათზე ინიშნება საჯარო ვაჭრობა მუნიციპალიზაცია ქმნილ ბაკებზე ალმას. კომის. საკრებულო დარბაზში.**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. თუმანოვის ქუჩა | № 1 | 11. დესიმონოვის მოედანი | №№ 21/23 |
| 2. ვარანცოვის ქ. | № 28 | 12. „ „ | № 25 |
| 3. დესიმონოვის მოედანი | № 31 | 13. თივის მოედანი | № 1 |
| 4. კახეთის ქ. | № 40 | 14. ჩერქეზიშვილის | № 44 |
| 5. „ | № 38 | 15. პოსტოიალის შეს. | № 3 |
| 6. „ | № 8 | 16. პოდვოდნი შეს. | № 6 |
| 7. „ | № 6 | 17. „ „ | № 5 |
| 8. „ | № 12 | 18. პოსტოიალის შეს. | № 2 |
| 9. „ | № 36 | 19. საბურთალო რაზმაძის ბაკი, | |
| 10. სუფსარქისის შესახვევი | № 2 | | |

ყოველივე პირობების გაგება შეიძლება გადასახადთა ბიუროს კანცელარიაში.

286 3—1

ქ. ტფილისის ექიმების საყურადღებოდ

ქალ. ტფილისში მყოფი ექიმები, როგორც სამსახურში მყოფნი, აგრეთვე კერძო პრაქტიკის მქონენი

ვალდებულნი არიან

**დაუყოვნებლივ აცნობონ ტელეფონით ან წერილობით ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილებას ყოველგვარ გადამდებ ავადმყოფობის შემთხვევის შესახებ.**

ველიამინოვის ქ. № 3, ტელეფონი 9-12. 3—1 385

განცხადება

საქართველოს დამშეულთა დამხმარე

მთავარი კომიტეტი

აცხადებს საბჭოთა დაწესებულებების და მოქალაქეთა საყურადღებოდ,

რომ თანახმად კომიტეტის დადგენილებისა

შეუძლებელია

**პერსონალური დახმარების აღმოჩენა გარდა დამშეულ-დაზარალებულ მაზრების და რაიონებისა და ყოველგვარი შუამდგომლობანი და თხოვნები ამის თაობაზე კომიტეტის მიერ განხილული არ იქნება.**

3—1 მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ს. მ. უ. ს.

ზომა წონის პალატა

საყოველთაოდ აცხადებს

რომ 1923 წ. იანვრის 25-დან გადასახადი

საზომ საწონ საგანთა გასინჯვისთვის შეკრებილი

იქნება ოქროს მანეთების

კურსით

ზომა წონის პალატის უფროსი ვ. გოცირიძე.

უფროსი შემოწმებელი ს. სმირნოვი.

კრ. 106 2—1

საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტერნის ქუჩ. № 2.